

შპს საირმე მინერალ ვოთერს

**მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება,
2. სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება,
3. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები;

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

აქტივები	2021წ.	2020წ.
მიმდინარე აქტივები		
ფული და მისი ექვივალენტები	290,280	<u>703,194</u>
სავაჭრო მოთხოვნები	4,155,073	3,715,507
სასაქონლო მატ. ასეულობები	981,485	623,045
სხვა მიმდინარე აქტივები	125,552	27,123
	5,552,390	5,068,869
გრძელვადიანი აქტივები		
არამატერიალური აქტივები	254,659	286,470
ძირითადი საშუალებები	2,672,249	3,129,016
ხვა გრძელვადიანი აქტივები	39,613	55,999
	2,966,521	3,462,485
სულ აქტივები	8,518,911	8,531,354

ვალდებულებები და კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		380,677
საეჭრო ვალდებულებები	2,349,476	1,768,427
ვალდებულებები თანამშ. მიმართ	132,326	58,777
მიმდინარე საგდასახადო ვალდებულებები	0	0
	2,481,802	2,207,881

გრძელვადიანი ვალდებულებები

სესხი	19,433,256	21,000,000
გადასახდელი პროცენტი	16,021,765	15,130,319
	35,455,021	36,130,319

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	-29,419,912	-29,808,846
	-29,417,912	-29,806,846

სულ ვალდებულებები	8,518,911	8,531,354
და კაპიტალი		

შპს საირმე მინერალ ვოთერს

მოგება-ზარალის გაანგარიშება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2021

2020წ.

შემოსავალი რეალიზაციიდან	10,666,697	8,287,302
რეალიზაციის თვითღირებულება	(5,013,055)	(3,828,816)
საერთო მოგება	5,653,642	4,458,486
სხვა საოპერაციო ხარჯები		

ხელფასის ხარჯი	(1,271,501)	(969,259)
ცვეთა და ამორტიზაცია	(659,354)	(634,519)
ადმინისტრაციული და სხვ ხარჯი	(3,468,858)	(2,514,943)
სულ საოპერაციო ხარჯი	(5,399,713)	(4,118,721)
საოპერაციო მოგება-ზარალი	253,929	339,765
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		
საპროცენტო შემოსავლები	10,886	8,648
საპროცენტო ხარჯი	(1,859,717)	(1,821,830)
არასაოპერაციო ხარჯი სავალუტო ოპერაც.	1,983,836	(4,473,770)
სხვა საოპ.ხარჯი	-	(9,659)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	135,005	(6,296,611)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	388,934	(5,956,846)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(29,806,846)	(23,850,000)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	388,934	(5,956,846)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(29,417,912)	(29,806,846)

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს საირმე მონერალ ვოთერს (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუისმგებლობის საზოგადოებას, დაარსებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის ოფისი მდებარეობს თბილისში, ბესიკის ქ. #4;

კომპანია დაფუძნდა 2003 წლის 19 სექტემბერს; 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის წილის მფლობელია იაკოვ გვიჩია.

კომპანიის გენერალური დირექტორი – იანინა მაშკოვა;

საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (*შემდგომში "მსსფასს"*), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანიამ პირველად ფინანსური ანგარიშგება წარადგინა 2018 წელს; მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი; სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანის დროს 2021 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსები:

1 აშშდოლარი=3.0976 ლარი და 1 ევრო=3.5040 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში;

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს; საბანკო სესხები ასახულია, გრძელვადიანი ვალდებულებების ნაწილში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 25-60 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 7-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-10 წელი
- ავეჯი 10-20 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამერქიალური აქტივები

არამატერიალურ იაქტივები წარმოადგენს ცალკე შემენილ ლიცენზიებს (*მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა*) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შეადგენს 10-25 წელს.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

თუ ბოლო ანგარიშების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (*საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით*). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც გრელვადიანი ვალდებულებები, თუ კი კომპანიას

არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული, ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით.

დღგ

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასების, ბონუსების, ანაზღაურებას და შვებულებებს, ბიულეტენებს კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანია ჩართულია დაგროვებით საპენსიო პროგრამაში.


საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

გენ. დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

[Handwritten signature]



/ი. მაშკოვა/

/ქ. გელაძე/